

თავი 12 აურზაური თავშესაფრის გამო

ქუჩებში უფრო და უფრო ნაკლები ხმაური ისმოდა, ჯონათანმა კიდევ ერთ მოძველებულ სახლთა რიგს მიძიმე ნაბიჯით ჩაუარა. სამი მაღალი შენობის წინ ღარიბულად ჩაცმულ ადამიანთა ჯგუფი შენიშნა. შენობებზე კი წარწერები შეიმჩნეოდა: I კორპუსი, II კორპუსი, III კორპუსი. I კორპუსი ცარიელი იყო და სავალალოდ გამოიყურებოდა – შენობიდან ქვები ცვიოდა, ფანჯრები ჩამტვრეული იყო, ხოლო დარჩენილ მინის ნატეხებს ჭუჭყი ფენებად დასდებოდა. ხალხი II კორპუსის გვერდით, კიბის წინა საფეხურებზე შეგროვილიყო. ჯონათანს შიგნიდან ხმამაღალი საუბარი შემოესმა, სამივე სართულიდან აქტიური ცხოვრების დამადასტურებელი ფუსფუსი ისმოდა. ყველა ფანჯარასა და აივანზე უსწორმასწოროდ გადაფენილი სარეცხი აშკარად მიანიშნებდა, რომ სახლს მობინდრეები ჰყავდა.

ქუჩის გადაკვეთაზე კარგად შემონახული III კორპუსი იდგა და პირველის მსგავსად, ხალხისგან დაცარიელებულიყო. მისი გაწმენდილი ფანჯრები მზის შუქზე ელავდა, თაბაშირის კედლები გლუვი და სუფთა იყო.

ჯონათანი სამივე შენობას აკვირდებოდა, როდესაც უცებ მხარზე მსუბუქად ხელის შეხება იგრძნო. შემობრუნდა და დაინახა, რომ მის წინ გოგონა იდგა, რომელსაც გრძელი, წითური თმები დაჰფენოდა მხრებზე. ღია ნაცრისფერი ტანისამოსი არცთუ კარგად მორგებოდა ტანზე და, ერთი შეხედვით, ლამაზი სულაც არ ჩანდა, მაგრამ ჯონათანს მოეჩვენა, რომ იგი ხალისიანი და კეთილი ადამიანი იყო.

– აქ სადმე ბინას ხომ არ აქირავებენ? – იკითხა გოგონამ ნაზი, სასიამოვნო ხმით.

– მაპატიეთ, მაგრამ, მე აქ არ ვცხოვრობ, – უპასუხა ჯონათანმა, – იმ ორი თავისუფალი შენობის შესახებ რატომ არ იკითხეთ?

– აზრი არ აქვს, – ნაზად თქვა გოგონამ.

– კი მაგრამ, მომეჩვენა, ცარიელი იყო, – უთხრა ჯონათანმა.

– მართალია. ჩემი ოჯახი I კორპუსში ცხოვრობდა, სანამ იჯარით ადების რეგულირების კანონს შემოიღებდნენ.

– ეს იჯარით ადების რეგულირება რაღაა? – იკითხა ჯონათანმა.

– ეს კანონი ბინის გამჭირავებლებს ქირის გაზრდას უკრძალავს.

– რატომ? – ჩაეძია ჯონათანი.

– ოჰ, სულელური ისტორიაა, – თქვა გოგონამ, – ადრე, როცა „ოცნების მანქანა“ გამოჩნდა ჩვენს სამეზობლოში, მამაჩემმა და სხვა მდგმურებმა ბინის მეპატრონეებს ქირის გაზრდის გამო უჩივლეს. რა თქმა უნდა, ფასები მატულობდა და სულ უფრო მეტი ხალხი აქირავებდა ბინებს, მაგრამ მამაჩემმა თქვა, რომ რეალურად არ არსებობდა მიზეზი, რის გამოც მეტი უნდა გადაგვეხადა. ასე რომ, მდგმურებმა, უფრო სწორედ ყოფილმა მდგმურებმა, მოითხოვეს, რომ ლორდთა საბჭოს ქირის გაზრდა აეკრძალა. ხელისუფლებმა მოთხოვნა დააკმაყოფილეს და მთელი რიგი ადმინისტრატორები, ინსპექტორები, მოსამართლეები და დარაჯები დაიქირავეს ახალი წესების გასამტკიცებლად.

– მდგმურები კმაყოფილნი დარჩნენ?

– თავიდან კი. მამაჩემი თავს უსაფრთხოდ გრძნობდა თავზე ჭერი რომ გვქონდა. მაგრამ, მერე უკვე გამჭირავებლებმა შეწყვიტეს ახალი ბინების მშენებლობა და ძველების გამყარება.

– მერე რა მოხდა?

– ფასები ისევ იზრდებოდა – ამჯერად უკვე სარემონტო, დაცვის სამსახურების, მენეჯერების, კომუნალური გადასახადების და სხვა მისთანების, მაგრამ მეიჯარეებს ხარჯების დასაფარად ქირის გაზრდა არ შეეძლოთ. ბოლოს იფიქრეს, რატომ ვაშენოთ და ვარემონტოთ? ფული რომ დაგვეკარგოსო?

– გადასახადებიც გაიზარდა? – იკითხა ჯონათანმა.

– რა თქმა უნდა, კანონი იჯარით ალების რეგულირების შესახებ ძალაში რომ შესულიყო, საჭირო გახდა ბიუჯეტისა და პერსონალის გაზრდა,

– თქვა გოგონამ, – საბჭომ ეს კანონი დაამტკიცა, მაგრამ საგადასახადო კანონი არ მიიღო. ჰოდა, როცა სარემონტო სამუშაოები შეწყდა, მეიჯარეები ყველამ აითვალწუნა.

– მეიჯარეებს ხომ მანამდეც არ სწყალობდნენ?

– არა. იჯარით ალების რეგულირებამდე უამრავი ბინა იყო, საიდანაც არჩევა შეიძლებოდა. გამჭირავებელი თავაზიანი უნდა ყოფილიყო, რომ მისი ბინა აგველო და გვეცხოვრა. ამიტომ, უმეტესი მათგანი მეგობრული იყო და შენს მოხიბვლას ცდილობდა. თუ მეიჯარე უხამსი და თავნება აღმოჩნდებოდა, ხმა სწრაფად ვრცელდებოდა და ხალხი კეთროვანივით ერიდებოდა მას. ტაქტიანი გამჭირავებლები გრძელვადიან მოიჯარეებს იზიდავდნენ, მაშინ როცა უზრდელი გამჭირავებლების ბინები ცარიელი რჩებოდა.

– რა შეიცვალა მას შემდეგ?

– ყველა გადიდგულდა. უვარგისები ყველაზე მეტად ხარობდნენ, – თქვა გოგონამ სასოწარკვეთილი გამომეტყველებით, შემდეგ ბორდიურზე ჩამოჯდა, რომ მაისისისთვის ყურს უკან მოეფხანა. კატა ზურგზე გადაწვა და კრუტუნი დაიწყო.

გოგონა ჯონათანის დაჟინებულ მზერას გრძნობდა და მიზანმიმართულად განაგრძობდა საუბარს.

– ფასებმა აიწია, მაგრამ ქირამ – არა. საუკეთესო მეიჯარადეებიც კი იძულებულნი გახდნენ, თავი შეეკავებინათ რემონტისგან. როდესაც შენობები საცხოვრებლად არაკომფორტული ან საშიში ხდებოდა, მდგმურები ბრაზდებოდნენ ან ინსპექტორებთან უჩიოდნენ გამჭირავებლებს. ინსპექტორები მათ ჯარიმებს აკისრებდნენ. რასაკვირველია, ზოგიერთი მეიჯარე ქრთამავდა ინსპექტორებს, რომ მათ ყური მოეყრუებინათ. ბოლოს, უკვე I კორპუსის მფლობელი პატიოსანი ადამიანი ვეღარ აუვიდა ზარალსა თუ მექრთამეობას და ყველაფერს თავი დაანება.

– საკუთარი შენობა მიატოვა? – დაბნეულად თქვა ჯონათანმა.

– დიახ, ხშირად ხდება ასე, – ამოიოხრა გოგონამ, – წარმოიდგინე იმის დატოვება, რის აშენებასაც მთელი ცხოვრება მოანდომე. მას შემდეგ ბინები სულ უფრო ნაკლები იყო, მდგმურთა რიცხვი კი იზრდებოდა. ხალხი თავს იკლავდა, რომ დარჩენილი ბინები ჩაეგდოთ ხელში და ყველაზე ძუნწ გამჭირავებლებსაც კი, მაგალითად II კორპუსის მფლობელს, ბინა ცარიელი არასდროს ჰქონია. დადის ჭორები, რომ ის ფულს იღებს, რათა რიგში მდგარი ადამიანები სიაში უფრო წინ ჩაწეროს. ვისაც საკმარისი ფული აქვს, პრობლემები არ ექმნება. ეს საზიზღარი მესაკუთრე ბანდიტივით იქცევა.

– II კორპუსზე რას იტყვი? – იკითხა ჯონათანმა იმ იმედით, რომ ახლა უკეთეს ამბავს მოისმენდა, – იქ შეგიძლიათ ბინის აღება?

– ლოდინი საშინელებაა. როდესაც დემ უითმორი გარდაიცვალა, უნდა გენახა, რა ამბავი ატყდა სიაში მისი ადგილის დასაკავებლად. ერთმანეთს არ ინდობდნენ და თავპირს ამტვრევდნენ. ბოლოს ბინა ლედი ტვიდის ვაჟმა მიიღო, თუმცა იმ დღით ის რიგში ჩამდგარი არავის უნახავს. ერთხელ ჩემი ოჯახი II კორპუსში სხვა ოჯახთან საზიაროდ ბინის აღებას შეეცადა, მაგრამ სამშენებლო კოდექსი კრძალავს ბინის გაზიარებას.

– ეს კოდექსი რადაა? – იკითხა ჯონათანმა.

გოგონამ წარბი შეკრა.

– თავიდან თითქოს უბრალოდ უსაფრთხოების მიზნით შემუშავებული წესები იყო, მაგრამ დღეს მეპატრონეები ამით ცხოვრების წესს საზღვრავენ. ხომ ხვდები, აქ იგულისხმება ნიჟარების, ღუმელებისა და ტუალეტების საჭირო რაოდენობა, ადამიანების რაოდენობა და ტიპი, საკმარისი ფართი, – სარკაზმით დასძინა მან, – ასე რომ, ქუჩაში აღმოჩნდით, სადაც კოდექსის მოთხოვნების დაკმაყოფილება სულაც არ არის საჭირო – არ არის არც ნიჟარები, არც გამათბობლები და არც

ტუალეტი. ადამიანი ვერ განმარტოვდება და ფართზე ხომ საერთოდ ლაპარაკი ზედმეტია.

ჯონათანი უფრო დაადონა გოგონას მდგომარეობამ. უცებ გაახსენდა III კორპუსი – მთლად ახალი და ცარიელი – ეს ხომ აშკარად მისი პრობლემის გადაჭრის გზა იყო?!

– ქუჩის გასწვრივ მდგარ III კორპუსში რატომ არ გადადიხართ საცხოვრებლად? გოგონამ მწარედ ჩაიციხა.

– ეს უკვე ზონებად დაყოფის წესთა დარღვევა იქნება.

– ზონებად დაყოფის წესები? – გაიმეორა ჯონათანმა. ზურგიით მიეყრდნო ტროტუარის ბორდიურს და თავი უნდობლად გააქნია.

– ეს წესები უკვე შენობების ადგილმდებარეობას ეხება, – ამ სიტყვებისთანავე გოგონამ ჯოხი აიღო, რათა მიწაზე პატარა რუკა დაეხაზა, – საბჭო გამყოფ ხაზებს ადგენს. ხალხს ღამით დაძინება ერთ არეალში შეუძლია, მაგრამ დღის განმავლობაში მეორე არეალში უნდა იმუშაოს. როგორც წესი, ოფისები საცხოვრებელი შენობების მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს. ასე რომ, დილა-სადამოს ხალხმა გვარიანად ბევრი უნდა იმგზავროს. ამბობენ, ფეხით სიარული კარგი ვარჯიშია და ვისაც ვარჯიში ეზარება, გადაადგილების სხვა საშუალებას იყიდის, რაც ქალაქის ბიუჯეტს გაზრდის.

ჯონათანი დაბნეული მიაშტერდა გადატენილ საცხოვრებელ შენობას, რომელიც ორ ცარიელ კორპუსს შორის იდგა, ქუჩა კი სავსე იყო ღარიბი და გაჭირვებული ადამიანებით. მან თანაგრძნობით იკითხა – ახლა რას აპირებთ?

– ერთი მნიშვნელოვანი დღე გველის. მამიკოს უნდა, რომ მასთან ერთად წავიდე ძალიან მაგარ წვეულებაზე, რომელსაც ხვალ ლედი ტვიდი უსახლკაროებისთვის მართავს. ის გვპირდება, რომ თამაშებითა და უფასო სადილით კარგ ხასიათზე დაგვაყენებს.

– რა გულუხვობაა, – ცივად აღნიშნა ჯონათანმა და ლედი ტვიდთან საუბარი გაახსენდა, – იქნებ ნება დაგროთო, მის სახლში იცხოვროთ, სანამ რამეს იპოვიდეთ.

– ერთხელ მამაჩემს ეყო გამბედაობა და სწორედ ეგ შესთავაზა, რადგან ტვიდი სათავეში ედგა საბჭოს, როცა ეს უკანასკნელი იჯარით ალების რეგულირების შესახებ კანონს იღებდა. ლედი ტვიდმა უპასუხა, ეს უკვე მოწყალეა, რაც დამამცირებელიაო, მერე აუხსნა, უფრო ღირსეული საქციელი იქნება, გადამხდელებს ბინების დაცლა მოვთხოვოთო და დასძინა, ცოტაც მოითმინე და რამე გამოსავალს მოგიძებნო.

ახალგაზრდა ქალმა ჯონათანს შესცინა და უთხრა:

– სხვათა შორის, მე აღისა მქვია. გინდა, ხვალ შუადღით ტვიდების უფასო სადილზე შემოგვიერთდე?

ჯონათანს სახე აელეწა. შესაძლოა, თანდათან მოსწონებოდა კიდევ ეს კუნძული.

– დიდი სიამოვნებით წამოვალ თქვენთან ერთად. ხო, მე კი ჯონათანი მქვია.

აღისა სიხარულით ადგილზე შეხტა.

– მაშინ, ჯონათან, ხვალ აქ შევხვდეთ ერთმანეთს. კატის წამოყვანა არ დაგავიწყდეს.